სსიპ - ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტი

ქუთაისის სახელმწიფო
ისტორიული მუზეუმი

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

ქ. ქუთაისი 2 ოქტომბერი, 2015 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და შემოქმედების ინტეგრირების, ერთობლივი სამეცნიერო და სანახაობითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და სსიპ. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი თანხმდებიან თანამშრომლობაზე აკადემიური, სამეცნიერო და საშემსრულებლო ხელოვნების საკითხებში.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სასწავლო-შემოქმედებითი ბაზების ერთიანი ქსელის შექმნას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი შემოქმედებითი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.
1.2. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო-სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს.
1.3. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება

და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.4. სსიპ. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უზრუნველყოფს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

1.5. განახორციელებენ ერთობლივ სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებს (გამოფენები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, კურსები, ბეჭდურ გამოცემებთან თანამშრომლობა და სხვ.).

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირედება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი უპირობოდ, სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი

_____ ე. მესხია

საქართველო, ბათუმი,
ლუკა ასათიანის ქ. N 37
ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95; +995(422) 27-93-53
ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

სსი. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის დირექტორი, პროფესორი

_____ ო. ლანჩავა

სსიპ. ნ. ბერძენიშვილის სახელობი ქუთაისი სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი
მისამართი: ქ. ქუთაისი, პუშკინისქ. N18
ტ. +995 (431) 244972; 245691
ელ-ფოსტა: omarilanchava@gmail.com
ვებ-გვერდი: www.histmuseum.ge